



Netherlands Institute for  
**Multiparty Democracy**

**პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის საკითხებთან დაკავშირებით გამართული მრგვალი მაგიდა**

თბილისი, 29-30 ივნისი 2011

Marriott Courtyard Hotel

**მრგვალი მაგიდის დასკვნები პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ<sup>1</sup>**

პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. დღეს მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან 2012 და 2013 წლებში საქართველოში არჩევნებია დაგეგმილი. აღნიშნულ არჩევნებს, როგორც ჩანს ისტორიული მნიშვნელობა ექნებათ ქვეყნის ისტორიაში. საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე გავლენის მქონე ძირითად საკითხებზე მსჯელობისათვის საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა სამსახურმა (OSCE/ODIHR), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) და ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტმა (NIMD) 29 ივნისს გამართეს მრგვალი მაგიდა, სადაც განიხილეს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების და პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ქალების ჩართულობის საკითხები; შეხვედრას ქართული პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორები და განვითარების სააგენტოები, ექსპერტები გენდერისა და პოლიტიკის საკითხებში და ქართული მედია ესწრებოდნენ.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასა და მასში პოლიტიკური პარტიების როლთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე იმსჯელეს. დისკუსია ძირითადად ორიენტირებული იყო შემდეგ ძირითად სფეროებზე: 1. ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, 2. სახელმწიფო დაფინანსების დონე და რაოდენობა, 3. დაფინანსების კონტროლი და მონიტორინგი, 4. პოლიტიკურ გარემოსა და ქართული პარტიების დაფინანსების სისტემასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა განიხილეს 15 სპეციფიური საკითხი, რომელიც უნდა დარეგულირდეს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ძირითადი ასპექტების ფორმირებისა და გაუმჯობესებისათვის, რაც თავის მხრივ

---

ამ დასკვნებს არ აქვთ ოფიციალური სტატუსი, მათი მიღება არ მომხდარა კონსენსუსის საფუძველზე. მათი შეტანა ამ ანგარიშში არ გამოხატავს ორგანიზატორების, მათ შორის: OSCE/ODIHR, აშშს მთავრობის, USAID, IFES ან NIMD-ის შეხედულებას ან პოლიტიკას.



Netherlands Institute for  
**Multiparty Democracy**

*უზრუნველყოფს სამართლიან, თანაბარ და კონკურენტულ გარემოს პოლიტიკური პარტიების ეფექტური ფუნქციონირებისათვის.*

**პოლიტიკური პარტიის დაფინანსების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**

1. პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის საკითხი უნდა მოწესრიგდეს, გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში კამპანიის წარმოების დროს გახარჯული თანხები, არამედ დაფინანსება ჩვეულებრივ, არა საარჩევნო პერიოდშიც. მხოლოდ ამგვარი ფართო ხედვით არის შესაძლებელი პოლიტიკური პარტიების მიერ და მათთვის გაწეული ხარჯების მონიტორინგის, უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სისტემის შექმნა.
2. არსებული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს პარტიების მიერ ფონდების მოძიებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშგების სათანადო მექანიზმს. საჭიროა უკეთესი მექანიზმების შექმნა, რათა პოლიტიკური პარტიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნება და ანგარიშვალდებულება არ იყოს დამოკიდებული შესაბამისი ორგანიზაციების პოლიტიკურ კეთილ ნებაზე, არამედ იყოს სავალდებულო - კანონის თანახმად.
3. პარტიების დონორების მიმართ, რომლებიც იგებენ საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებულ ტენდერებს ან იღებენ სახელმწიფო კონტრაქტებს აუცილებელია ეფექტური მარეგულირებელი და კონტროლის მექანიზმების შექმნა.
4. იგივე პრინციპი ეხება სახელმწიფოს კუთვნილ კომპანიებს და ფირმებს, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ფინანსებს. საჭიროა მათ მიერ პოლიტიკური პარტიების და კანდიდატების დაფინანსების მონიტორინგის, ზღვრების დადგენის ან სრულად აკრძალვის ალტერნატივების შეზღუდვა.

**პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა**

5. საქართველოში მკვეთრად არის გამოხატული პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში არსებული ძლიერი ასიმეტრია. ერთ პარტიას ბევრად მეტი ფინანსური რესურსები აქვს ვიდრე სხვებს, რომლებსაც დაფინანსების ბაზა



ლიმიტირებული აქვთ. ეს სიტუაცია სერიოზულ პრობლემებს უქმნის ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას.

6. სახელმწიფო დაფინანსება მნიშვნელოვანია მრავალპარტიული გარემოს შესანარჩუნებლად. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების არსებული დონე არ არის საკმარისი ამ მიზნის მისაღწევად. საქართველოს სჭირდება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გონივრული, უფრო ძლიერი სისტემა.
7. საპრეზიდენტო არჩევნებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსება განხილული უნდა იქნეს, როგორც თანაბარი და გამჭვირვალე საარჩევნო გარემოს შექმნის სიცოცხლისუნარიანი მექანიზმი - არა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებისათვის, არამედ საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც.
8. პარლამენტში ქალების რაოდენობის მიხედვით, საქართველო ბოლო ადგილზეა ეუთოს რეგიონში. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების აქტიური ჩართულობისა და პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ ერთის მხრივ რესურსების განაწილებასთან, ხოლო მეორეს მხრივ ქალების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის ძლიერი კავშირი არსებობს. ეს კავშირები მომავალში უნდა გამოვლინდეს და ხარვეზები აღმოიფხვრას, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ შესაძლებლობად განხილული უნდა იქნეს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის დაკავშირება რესურსების გამოყოფასთან, მაგალითად პარტიებისათვის სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა დასახელებული და/ან პარტიულ სიაში შეყვანილი ქალი კანდიდატების რაოდენობის პროპორციულად.

### პოლიტიკური პარტიის ფინანსების მონიტორინგი

9. საჭიროა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც განახორციელებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ეფექტურ მონიტორინგს. ასეთი ინსტიტუტი უნდა იყოს მიუკერძოებელი და აღჭურვილი სათანადო მანდატით, ყველა საჭირო რესურსით, რათა სწორად შეძლოს დაფინანსების მონიტორინგი და საზედამხედველო ფუნქციის შესრულება.



Netherlands Institute for  
**Multiparty Democracy**

10. ანგარიშგების საერთო სტანდარტების შემოღება უმნიშვნელოვანესია. ამგვარი სტანდარტები უნდა იყოს მარტივი და გასაგები. სტანდარტების შესახებ ცნობიერების სათანადო დონის უზრუნველყოფის, მათი განხორციელების და შეუსაბამობების აღმოფხვრისათვის უნდა განხორციელდეს პოლიტიკური პარტიების და სხვა დაინტერესებული მხარეების ტრენინგი.
11. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნორმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში არსებული სანქციები მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს და თუ საჭიროა - შემოღებულ იქნას ახლები. სანქციები უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული და უზრუნველყოფილი უნდა იქნას დამცავი მექანიზმები, რათა არ მოხდეს მათი პოლიტიკურ იარაღად გამოყენება. ნებისმიერი ამგვარი სანქცია უნდა იყოს შეუსაბამობის პროპორციული, ადეკვატური და გონივრული, რათა პოლიტიკური პარტიის ფუნქციონირება არ შეფერხდეს.
12. პარტიებს, რომლებიც არ არიან შესაბამისობაში აღნიშნულ სტანდარტებთან, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სათანადო პროცესის უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა მექანიზმზე.
13. პოლიტიკური პარტიების ან კანდიდატების მიერ საარჩევნო კამპანიების წარმოებისას რეკომენდებულია გონივრული ხარჯვის მაქსიმალური ლიმიტების შემოღება. მაქსიმალური ლიმიტები არ უნდა ზღუდავდეს პოლიტიკურ ინოვაციას, პირიქით უნდა უზრუნველყოფდეს უფრო ჯანსაღ და კონკურენტულ საარჩევნო გარემოს პოლიტიკური კონკურენტებისათვის.
14. დაფინანსების და ფინანსური ანგარიშგების ვადები, ხელახლა უნდა შეფასდეს, რადგან დაფინანსება და დამფინანსებლის ვინაობა მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიებისა და ამომრჩევლებისათვის. ამომრჩეველს ამომწურავი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს პოლიტიკური პარტიის დონორების შესახებ, სანამ ბიულეტენში არჩევანს დაადასტურებს.

### **პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური გარემო**

15. საქართველოში არსებობს დომინანტური პარტიის გარემო, რაც სერიოზული გამოწვევაა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. ყველა პოლიტიკური



Netherlands Institute for  
**Multiparty Democracy**

მოთამაშისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად უნდა გატარდეს საჭირო პოლიტიკა და საკანონმდებლო ცვლილებები.

16. მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების და საკანონმდებლო ცვლილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ყველა პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში.